ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 ივლისი, 2021 №139 (8668) ფასი: 60 თეთრი

## ტელეკომპანია „ალტ ინფო“ უხამსობის გამო სამართალდამრღვევად ცნეს



გვ.5



გვ.5

ლაშა დარსალია: „მუქარის ნაცვლად, რუსეთმა უნდა შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება“

# „ქართულ ოცნებას“ მთავარ პრობლემას გახარია შეუქმნის“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციისგან პარლამენტის დატოვება არაფერს იძლევა“



## „ნაცმოძრაობამ შეცდომა დაუშვა“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ოცნება“ ვადამდელის დასანიშნად მზადაა, სადაც „ოცნება“-გახარიას ტანდემს გამარჯვების დიდი შანსი აქვს“



„დასავლეთში გაღიზიანება გროვდება, მაგრამ ივანიშვილს ვერ დაუწესებენ სანქციებს“

## „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში ვრჩებით, საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი“





გვ.3

დავით კირკიტაძე: „ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. უპასუხისმგებლო და გადამგდები ხელისუფლება გვყავს“



## „პარლამენტში ოპოზიცია უფუნქციოდ დარჩა“

ბეჟან ნათელაშვილი: „მიშელის დოკუმენტი „ქართულ ოცნებაზე“ იყო მორგებული, მაგრამ „ოცნებამ“ მაინც იჩქარა მისი ანულირება“

გვ.4



## „აშშ ძალიან გაბრაზებულია „ოცნების“ ცალმხრივი გასვლით 19 აპრილის შეთანხმებიდან“



გვ.2

აშშ-ის საელჩოს განცხადება

ISSN 1987-9385

4 როგორ უნდა მიიღონ ვაქცინირებულმა პირებმა საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო ცნობა

4 რეზო თაბუკაშვილმა „ლიტერას“ ჟიური დატოვა

5 „ბესიკ თორდუა ციხეში მოკლეს“ ადვოკატმა პროკურატურაში თორდუას ოჯახის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარი გაასაჩივრა

6 ალასკაზე 8,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

# „ნაცმოძრაობამ შეცდომა დაუშვა“

## მამუკა გამყრელიძე: „ოცნება“ ვადამდელის დასანიშნად მზადაა, სადაც „ოცნება“-გახარიას ტანდემს გამარჯვების დიდი შანსი აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა გზავნილი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“? დაუშვა თუ არა შეცდომები ოპოზიციამ? გამოირიცხა თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და როგორ არის ბიძინა ივანიშვილის ლოგიკაში ეს საკითხი? — ამ და სხვა საკითხებზე „ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი მამუკა გამყრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.**



**მამუკა გამყრელიძე:** საზოგადოდ ის კვლევები, რომელიც იდება, აჩვენებს, რომ სახელისუფლებო პარტიის რეიტინგი მუდმივად ეცემა, როდესაც ის დიდხანს რჩება ხელისუფლებაში, მაგრამ წინა კვლევებმაც აჩვენა, რომ „ოცნების“ რეიტინგი 30%-ის ფარგლებშია. წყალი არ გაუვა, რომ ოპოზიციის რეიტინგი კიდევ უფრო დაბალია და ყოველთვის გადაუწყვეტილი ამომრჩევლის რაოდენობა ძალიან ბევრია და ახლაც რომ გაზომო, ასე იქნება. 40-50% იქნება ეს რაოდენობა. ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ირჩევს არა გემოვნების და სიმპათიის, არა პროგრამის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით — ვინ უფრო დიდ ძალას აჩვენებს. ხელისუფლებას ამის მეტი საშუალება აქვს, რადგან მას აქვს ადმინისტრაციული რესურსი, ფინანსური რესურსიც მეტი აქვს. შესაბამისად, გადამწყვეტ მომენტში ხდება ამომრჩევლის გადახრა, როგორც ეს მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში. ძალის დემონსტრირება ხდება. ქართველი ამომრჩეველი აღიქვამს ძალის დემონსტრირებას და მისკენ იხრება.

***— ვადამდელი არჩევნების შანსი რჩება?***

— რა ინფორმაციაც ბრიფინგზე გააჟღერა ბატონმა კობახიძემ, მე მგონი, იკვეთება, რომ ხელისუფლება მზადაა, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. მას ძალიან კარგად ესმის, რომ კრიზისი ახლა კიდევ უფრო გაღრმავდება და კიდევ უფრო რთული გახდება. შესაძლოა საპარლამენტო ცხოვრება შეუძლებელიც კი გახდეს. ადგილობრივთან ერთად ველარ მოასწრებენ, რადგან საკანონმდებლო ცვლილებებია გასატარებელი, მაგრამ სრულიად შესაძლებელი იქნება, რომ მაისში ან ივნისში დანიშნონ.

***— ანკესი ხომ გადმოაგდეს, რათა საზოგადოება დაემშვიდებინათ, რომ ჩვენ კი გავდივართ, მაგრამ მაინც დავნიშნავთ, 53%-იც კი რომ ავიღოთო? თან ბუნდოვანი განცხადება გააკეთა, რომ კოალიციური მმართველობისთვის მზაობა თუ იქნებაო და ა. შ.***

— შესაძლებელია. არ გამოვრიცხავ ამ ვარიანტს. მეორე მხრივ იძულებულები იქნებოდნენ, რომ მაქსიმალური დარაზმვა მოეხერხებინათ თავისი ამომრჩევლის, რათა ვადამდელი არჩევნები არ ყოფილიყო. იმასაც ხედავენ, რომ ვადამდელი არჩევნები გამოსავალია ამ სიტუაციიდან. მე არ ვამბობ, რომ მხოლოდ ოპოზიციისთვის არის გამოსავალი, ეს გამოსავალი ხელისუფლებისთვისაც არის. იმიტომ, რომ კრიზისის გადაწყვეტა მხოლოდ მკვეთრი გზებით ხდება.

***— ივანიშვილის ლოგიკაშიც ასეა?***

— ივანიშვილის ლოგიკაში ასეა, რომ მე ნებისმიერ არჩევნებს მოვიგებ. იმიტომ, რომ ფული მაქვსო. ამიტომ, არ გამოვრიცხავ იმას, რომ მშვიდად უყურებდეს ვითარებას ვადამდელი იქნება თუ არა ვადამდელი.

***— გახარიასთანაც ხომ არ აქვს დალაგებული და ამიტომაც ხომ არ უყურებს მშვიდად?***

— ზუსტად აქ მივდიოდი. ესეც ფაქტორია. გახარიას მესიჯებიდან გვესმის, რომ გამორიცხავს ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიასთან რაიმე კონტაქტებს როგორც ახლა, ისე მომავალში. ეს არ ისმის „ოცნების“ მიმართ. კი არის რაღაც წყენა, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტი შესაძლებლობაა, რომ „ოცნებასთან“ მოხვდეს კოალიციაში, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ან სხვა რომელიმე ღიად ოპოზიციურ პარტიასთან. აქედან გამომდინარე იმ კოალიციას „ოცნება“ პლუს გახარია ძალიან სერიოზული ძალა ექნება. რა თქმა უნდა, მოახერხებენ მთავრობის დაკომპლექტებას. თუ მოხდა რაღაც კონტაქტები ივანიშვილსა და გახარიას შორის, მე ვიტყოდი, რომ ამ ტანდემს უფრო დიდი შანსი აქვს გამარჯვების, ვიდრე დანარჩენ ოპოზიციას.

ასეა, რეალისტები რომ ვიყოთ. ძალიან უყვართ ბაქი-ბუქი პარტიებს, რომ ამას ვიზამთ და ივანიშვილს გავანადგურებთო. ჰგონიათ, რომ ამით რაზმავენ ამომრჩეველს, სინამდვილეში ამომრჩეველი ისმენს ერთხელ, მეორედ, მეათედ და როდესაც ვერ ხედავს შედეგს, მერე ფურსტრირება ხდება და, რა თქმა უნდა, ხელს ჩაიქნევენ.

***— ბოლო წლებში რიტორიკა შეცვალეს და ამბობენ კოალიციით მოვალთ ოპოზიციაო, იქამდე ყველა პარტია უმრავლესობაში მოდიოდა მათი განცხადებებით.***

— კი, ასე იყო. დიდი იმედი იყო, რომ გაერთიანება მოხდებოდა „ფანჩატურის“ ფორმატში და ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ, მაგრამ დადგა გადამწყვეტი მომენტი და ზოგმა ვერ შეძლო, ზოგი გატყდა... ბოლოს მივიღეთ უცნაური სურათი.

***— კიდევ უფრო დასუსტდა ოპოზიცია?***

— რა თქმა უნდა. სიმართლე გითხრათ, მაშინაც ვიძახდი, მათ შორის თქვენ გაზეთთანაც, რომ შეუძლებელი იქნებოდა ერთიანობის შენარჩუნება. ვამბობდი, რომ დაიწყებოდა პარლამენტისკენ სვლა იმ პარტიების, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, რომ 300-500 ათასი ამომრჩეველი ჰყავდეს-მეთქი. მათ რაღაცას მიაღწიეს და შეეცდებოდნენ მიღწეული შედეგიდან რაღაც ბენეფიტების მიღებას. ვამბობდი, რომ სჯობს შევიდეს ყველა და იქ ერთიანად მოხდეს ბრძოლა-მეთქი. ეს არ მოხდა. შემდეგ შესულებსა და არშესულებს შორის მოხდა სერიოზული დაპირისპირება. ერთმანეთის მიმართ არასასიამოვნო ეპითეტები გაისმა და მერე მოხდა გახლეჩა.

***— იგივე ხომ არ ხდება? გამოვა ოპოზიცია?***

— მე ვერ ვხედავ მაგის რესურსს. როდესაც 5 ივლისს მოხდა მედიის დარბევა და პოლიციამ არ დაიცვა ჟურნალისტები, ამას დაემატა ის, რომ მოხდა ცემა-ტყეპა დეპუტატებს შორის, უნდა ამდგარიყვნენ ოპოზიციის წარმომადგენლები და პარლამენტიდან გამოსულიყვნენ. მათ უნდა ეთქვათ, რომ ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელია.

ხელისუფლებამ გამოიყენა არგუმენტი, რომ „ნაცმოძრაობამ“ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი არ მოაწერაო. ერთი მხრივ მართლები არიან, რადგან ეს იყო შეთანხმება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის.

***— საბაბი მისცეს?***

— კი, საბაბია ეს, მიზეზი არ არის. პარტია, რომელიც ერთად აღებულ ყველა სხვა ოპოზიციურ პარტიაზე მეტ დეპუტატს ფლობს პარლამენტში, ის არ უერთდება დოკუმენტს. რაღაცა უნდა მოეფიქრებინათ, მაგალითად, ამ პუნქტის გარეშე. ამ შეთანხმებაში ეწერა, რომ ოპოზიციას უნდა დაეკავებინა ხელმძღვანელი თანამდებობები საპარლამენტო კომიტეტებში. ანუ გამხდარიყვნენ დელეგაციების ხელმძღვანელები და ა. შ. ეს ძალიან ძლიერი ინსტრუმენტია ევროკავშირთან ყოველდღიურ რუტინულ მუშაობაში. „ნაცმოძრაობა“ ამის გარეშე დარჩა იმიტომ, რომ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა. გამოდის, რომ ოპოზიცია ყოველდღიურ მუშაობას ვერ ახერხებს.

***— გამოდის, რომ „ნაცმოძრაობამ“ შეცდომა დაუშვა?***

— რა თქმა უნდა. ან საერთოდ არ უნდა შესულიყვნენ და ამას მივიღებდი პრინციპულ პოზიციად. მაგალითად, „ლეიბორისტები“ არ შევიდნენ. ენმ შევიდა პარლამენტში, მაგრამ არ გამოიყენეს ინსტრუმენტები იმის გამო, რომ ხელი არ მოაწერეს დოკუმენტს.

***— ოპოზიციაში დაპირისპირების ახალი ტალღა ხომ არ გველოდება? მელია და ჯაფარიძე ტოვებენ მანდატებს. შესაძლოა სხვებმაც მიბაძონ. ეს ხომ არ გამოიწვევს დაპირისპირების მორიგ ტალღას?***

— ეს იყო მათი პრინციპული პოზიცია, რასაც პატივს ვცემ. სხვებს არაფერი უთქვამთ ჯერ. ხაზარაძემ თქვა შეიძლება გავიდეთო, რაც



### „დასავლეთში გაღიზიანება გროვდება, მაგრამ ივანიშვილს ვერ დაუწესებენ სანქციებს“

შემდეგ ბადრი ჯაფარიძემ უარყო. ხატია დეკანოიძის პოზიციაც ორჭოფული იყო. მათ ჯერ არ იციან, რაც არასწორია. ჯერ ევროპა არ არის ჩამოყალიბებული თავის პოზიციაში. იმისათვის, რომ მათი პოზიციები ჩამოყალიბდეს, შენ აქედან მკვეთრი განცხადებები უნდა გააკეთო. პარტიების პოზიცია როცა გაუგებარია და როცა დასავლეთს შეჰყურებენ თვალებში რას იტყვიან, მერე გასაგებია მათი პოზიციაც — არ მწვადის დაწვა იქნება და არც შამფურის.

დასავლეთს აქვს ბელორუსის მაგალითი და ვერ გაატარებენ მშვიდად, რაღაცა რეაგირება უნდა გააკეთონ. ამიტომ, ძალიან მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს შარლ მიშელი. ცხადია, რომ გაღიზიანება გროვდება. ეს არ არის მხოლოდ ეს ამბავი. მედიაზე თავდასხმაც გაღიზიანებას იწვევს, ევროკავშირის დროშების დაწვაც... ეს ყველაფერი გროვდება.

***— ცოტა უტრირებულად რომ ვიკითხო, „ოცნება“ თავისი ნაბიჯებით საკუთარ თავს სანქციებს თავადვე ხომ არ უწესებს?***

— ვის სანქციებამდე? — სანქციები იქნება სახელმწიფოს მიმართ თუ კერძო პირების მიმართ? თუ სახელმწიფოს მიმართ იქნება ფულის არმიცემა თუ დახმარების შეწყვეტა, ისედაც გაუბედურებულ საქართველოს დააქცევს. შესაბამისად, ამის გაკეთებას არ ეცდებიან. ეს თუ გააკეთეს, რუსეთი ჩაერთვება და იტყვის, ჩვენ აქ ვართ და დაგეხმარებითო. არაფერს დაგეხმარებიან, მაგრამ ამას იტყვიან.

რაც შეეხება პერსონალურ სანქციებს, მას დაუწესებ ღარიბაშვილს თუ გომელაურს, რას მოგცემს რეალურად?! რეალურად ყველაფერს მართავს ივანიშვილი. ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ მას ვერ დაუწესებ. ფორმალური საფუძველი ხომ უნდა გქონდეს. ეჭვი იმისა, რომ ვილაცას დაურეკავს და ა. შ. საკმარისი არ არის. დასავლეთი რთულ სიტუაციაშია. ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ.

# „აშშ ძალიან გაბრაზებულია „ოცნების“ ცალმხრივი გასვლით 19 აპრილის შეთანხმებიდან“

## აშშ-ის საელჩოს განცხადება

„ქართული ოცნების“ მიერ მიშელის დოკუმენტიდან ცალმხრივ გასვლას საქართველოში აშშ-ის საელჩო ასე გამოეხმაურა:

„ამერიკის შეერთებული შტატები ძალზე შეწუხებული და გაბრაზებულია პარტია „ქართული ოცნების“ ცალმხრივი გადაწყვეტილებით, გასულიყო 19 აპრილის შეთანხმებიდან, დოკუმენტიდან, რომელიც შემუშავდა ექვსთვიანი რთული, მაგრამ ერთობლივი მოლაპარაკებების შედეგად და წარმოადგენს ქართველი ხალხისა და მათი დემოკრატიის წინსვლისთვის აუცილებელ გზას. ცხრა არჩეული პარტიიდან, სულ მცირე, ექვსი პარტიის ასთხუთმეტმა პარლამენტარმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და პირობა დადო, რომ კეთილსინდისიერად ითანამშრომლებდა ღრმა პოლარიზაციის შესამცირებლად, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ პროგრესს აფერხებს. ვაშინგტონის შეშფოთება სულ უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს დემოკრატიული მომავლის გზაზე განმეორებითი უკან გადადგმული ნაბიჯების გამო.

ყველა ხელმომწერმა პასუხი უნდა აგოს ხელშეკრულების ფარგლებში მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე მაშინ, როდესაც ჩვენ ვაგრძელებთ დაჟინებით მოთხოვნას, რომ ყველა პარტიამ ხელი მოაწეროს და სრულად შეასრულოს შეთანხმება. „ქართული ოცნების“ მიერ შეთანხმებიდან ცალმხრივად გასვლა კიდევ ერთი გადახვევაა როგორც იმ მოლაპარაკებების შინაარსისა და სულისკვეთებიდან, რომელშიც „ქართული ოცნება“ იღებდა მონაწილეობას, ასევე, იმ შეთანხმებიდან, რომელსაც მან ხელი მოაწერა. მმართველი პარტიის ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვის, მხოლოდ და მხოლოდ, უფრო მეტ პოლიტიკურ არასტაბილურობას ქმნის და აჩენს კითხვებს „ქართული ოცნების“ ერთგულებაზე საქართველოს დემოკრატიული მიზნების მიღწევისადმი, იმ მიზნების, რომელიც პარტიამ თავად განსაზღვრა საქართველოსთვის.



საქართველოს ინტერესები საუკეთესოდ იქნება დაცული, თუ შეთანხმებაში მიღწეული კონკრეტული სასამართლო, კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმების საკითხები განხორციელდება მრავალპარტიული კონსენსუსის საფუძველზე და არა ერთი პარტიის ცალმხრივი მოქმედების შედეგად. დროული პროგრესი ამ რეფორმების განსახორციელებლად ყველაზე პასუხისმგებლიანი გზაა, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ციკლი დასრულდეს და ეს პროგრესი კვლავ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის. დესტაბილიზაციისა და განხეთქილების გამომწვევ ქმედებებს სარგებელი მოაქვს მხოლოდ მათთვის, ვინც ცდილობს, ძირი გამოუთხაროს საქართველოს დემოკრატიის სტაბილურობასა და წარმატებას.

ეს შეთანხმება ქმნის სასარგებლო გზამკვლევს მნიშვნელოვანი რეფორმებისთვის, რომელიც საჭიროა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, სასამართლო სისტემის პოლიტიზირების შესამცირებლად, საქართველოს საარჩევნო სისტემის გასაუმჯობესებლად, პარლამენტში ძალაუფლების განაწილებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის ძალისხმევის გასაგრძელებლად. ეს რეფორმები, რომელიც უნდა იყოს ინკლუზიური, მრავალპარტიული პროცესის შედეგი, კვლავაც სასწრაფო და აუცილებელია.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას, მათ შორის „ქართულ ოცნებას“, ერთობლივი მუშაობისა და იმ ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებისკენ, რაზეც ისინი შეთანხმდნენ და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპულ ერთა ოჯახში დროული ინტეგრაციისთვის.“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ მთავარ პრობლემას გახარია შეუქმნის“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციისგან პარლამენტის დატოვება არაფერს იძლევა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ზურა ჯაფარიძის შემდეგ ნიკა მელიამ საპარლამენტო მანდატი დატოვა. ის აცხადებს, რომ არჩევნების ბოიკოტთან დაკავშირებით არავინ არ უნდა დაძრას სიტყვა, რადგან „ქართულ ოცნებას“ რეალურად აქვს 43%-იანი ბარიერის პრობლემა. თქვენ რას უკავშირებთ ხელისუფლების გადაწყვეტილებას?***

– „ქართული ოცნების“ დასახელებული არგუმენტი, რატომაც გადიან ისინი შეთანხმებიდან, ძალიან სუსტია. ამიტომ, ბუნებრივად ჩნდება კითხვები. „ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავად იცოდა, რომ მათ ამ გადაწყვეტილებას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება. შეიძლება სანქციები არ მოჰყვეს, მაგრამ პოლიტიკური ფასის გადახდა რომ მოუწევთ, ეს ცხადია. მიუხედავად ამისა, რადგან ისინი სრულიად შეგნებულად წავიდნენ პოლიტიკურ დარტყმებზე, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ერთადერთი ვარიანტი რჩება: „ქართულ ოცნებას“ რეალურად აქვს პრობლემა 43%-იანი ზღურბლის გადალახვის. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ ურჩევნია პოლიტიკური დარტყმები მიიღოს და პრობლემა დღესვე მოაგვაროს, ვიდრე ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ იმტვრიოს თავი, დანიშნოს თუ არა ვადამდელი არჩევნები. ის დღესვე ცდილობს ამ პირობისგან განთავისუფლდეს.



***– ოპოზიცია აცხადებს, რომ რეფერენდუმზე მივდივართ, აგებს „ოცნება“ და ინიშნება ვადამდელი არჩევნები. რა გარანტია აქვს ოპოზიციას, რომ ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს?***



– გამოდის, ქუჩაში გადადის პროცესები. სხვა მოცემულობა არ რჩება. როგორც ჩანს, ქუჩა აწყობს ხელისუფლებასაც და „ნაციონალურ მოძრაობასაც“. ხელისუფლებამ საბაბად გამოიყენა, რომ მიშელის დოკუმენტზე ხელი არ მოაწერა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. სრულიად გასაგებია, რომ „ოცნებას“ სულ სხვა მიზნები და ამოცანები ჰქონდა და არაფრად ადარდებდა, „ნაციონალები“ მოაწერდნენ თუ არა დოკუმენტს ხელს. ასეთი არაერთი საბაბი იქნება ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც მოძებნილი. ამიტომ, სრულიად ახალ კრიზისში შევა ქვეყანა, საიდანაც ძალიან რთული იქნება გამოსვლა.

***– ოპოზიცია განვითარებული მოვლენების ადეკვატური რამდენად არის?***

– ოპოზიცია თავიდანვე სხვა გზითა და სხვა სქემით უნდა წასულიყო. ახლა, გინდა არ გინდა, „ნაციონალური მოძრაობა“ „ოცნებასთან“ ერთად, დასავლეთიდან დარტყმას მიიღებს და უკვე იღებს კიდეც. ამიტომ, ოქტომბერში ქუჩას ორივე პოლიტიკური ძალა შეიძლება დისკრედიტირებული შეხვდეს.

„ქართული ოცნების“ ამ განცხადებას ქვეყნის შიგნით, უშუალოდ ელექტორატში, დიდი პოლიტიკური გადაჯგუფება არ გამოუწვევია, მაგრამ ის, რაც ამას მოჰყვება და მთელი ამ ხნის მანძილზე გაგრძელდება, ამან შეიძლება ამომრჩეველზე ისე იმუშაოს, რომ საერთოდ ხელი ჩაიქნიოს და არ მივიდეს არჩევნებზე. ვის აწყობს ეს მდგომარეობა?! თუ თავისუფალი ამომრჩეველი, რომელიც არავის არ უჭერს მხარს და ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული, ეს ნაწილი სახლში თუ დარჩება, რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში აწყობს ხელისუფლებასა. ჩათვალეთ, მაშინ „ქართული ოცნება“ 43% აიღებს, რადგან თავის ამომრჩეველს მიიყვანს. სახელისუფლო ბერკეტებს გამოიყენებს და მიიყვანს. რაც შეეხება ოპოზიციას, ის მიიყვანს თუ არა ამომრჩეველს არჩევნებზე, ეს დიდწილად დამოკიდებული იქნება მათ ქმედებაზე ამ დარჩენილ ორ თვეში.

ვერ გეტყვით, რა გათვლები აქვთ „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ დანებებას არ აპირებენ და ბრძოლა იქნება ბოლომდე.

***– ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი?***

– მე ვფიქრობ, ეს იქნება კიდევ ერთი სისულელე ოპოზიციის მხრიდან. პარლამენტის დატოვება არაფერს არ იძლევა. თავის დროზეც რომ არ შევიდნენ, იმანაც წამგებიან პოზიციაში დატოვა ოპოზიცია. დღეს თუ ოპოზიცია პარლამენტს დატოვებს, კიდევ უარეს დღეში აღმოჩნდება. შეიძლება თავისი ამომრჩეველიც კი დაკარგოს.

დღეს, მოსახლეობის უმრავლესობისთვის, თავისუფალი ამომრჩევლისთვის მიუღებელია როგორც ერთი ძალა, ისე მეორე. როგორც „ქართული ოცნება“, ისე „ნაციონალური მოძრაობა“. როდესაც ასეთი ვითარებაა, ეს ქმნის ამ რეალობას. თან, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ უნდა არასტაბილური გარემო ქვეყანაში.

### „ქუჩის აქციები აწყობს „ოცნებასაც“ და „ნაციონალებსაც“

***– არსებობს მოსაზრება, რომ რიგგარეშე არჩევნები გახარიას მონაწილეობით შეიძლება ივანიშვილს უფრო აწყობს (კიდევ ოთხი წელი გაიხანგრძლივებს არსებობას), ვიდრე ოპოზიციას. ირაკლი კობახიძემაც თავის განცხადებაში მინიშნებით კოალიციაზე ისაუბრა. ეს გზავნილი გახარიასადმი იყო?***

– „ქართული ოცნება“ დღეს თუ 43%-ს ვერ იღებს და პრობლემა შეექმნა, ეს პრობლემა მას შეუქმნა არა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, არამედ გახარიამ. რომ გითხრათ „ქართული ოცნების“ ლიდერები, აქ არ ვგულისხმობ, ცხადია, ივანიშვილს, დიდად იქნებიან მოხარულები გახარიასთან კოალიციით, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ ეცდება რიგგარეშე არჩევნები არ დანიშნოს. თუ იძულებული იქნება, მიუხედავად ყველაფრისა მაინც დანიშნოს, მაშინ გახარიას პოლიტიკურ ასპარეზზე შემოსვლა ნიშნავს იმას, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის ხმებს მიიღებს. სხვათა შორის, ეს ადგილობრივი არჩევნები იქნება გადამოწმება, თუ რა შეუძლია რეალურად გახარიას სამომავლოდ. შემდეგ უკვე, რა შეუძლიათ ერთად გახარიასა და „ქართულ ოცნებას“.

# „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში ვრჩებით, საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი“

## დავით კირკიტაძე: „ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. უპასუხისმგებლო და გადამგდები ხელისუფლება გვყავს“

იაგო ნაცვლიშვილი

მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმება დაარღვია და შარლ მიშელის შეთანხმებიდან გავიდა, ოპოზიცია რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. პარლამენტის დეპუტატის მანდატზე უკვე უარი თქვეს ზურაბ ჯაფარიძემ და ნიკა მელიამ, თუმცა პარლამენტს არ ტოვებს ნიკა მელიას პარტია.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმ მოტივაციაზე, თუ რატომ დარჩა პარლამენტში პარტია, განსხვავებით მისი ლიდერის ნიკა მელიასაგან და როგორ გაიგებს ამას პარტიის ამომრჩეველი.



***– ნიკა მელიამ თქვა, რომ პარლამენტს ტოვებს. რჩებით თუ არა პარლამენტში პარტიის სხვა წევრები?***

– იმის გამო, რომ ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის იმიჯს არ უფრთხილდება არც ქვეყნის გარეთ და არც ქვეყნის შიგნით, ეს არაორდინარული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ჩვენი პარტიის ლიდერის მიერ. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით არსებულ საფრთხეებს, პატივს ვცემთ ინსტიტუციებს იმის მიუხედავად, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ფასი დაუკარგა, რაც მომავალში პოლიტიკური ინსტრუმენტი უნდა იყოს ქვეყნის მართვის თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენი პარტიის ლიდერის მხრიდან ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მე ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას თავიდან ბოლომდე და სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია.

***– ანუ, მხოლოდ ნიკა მელია ტოვებს პარლამენტს თუ ასე უნდა გავიგოთ, რომ პარტიის სხვა წევრებიც გადიხართ საკანონმდებლო ორგანოდან?***

– ნიკა მელიამ ეს გადაწყვეტილება მიიღო იმის გამო, რომ ქვეყანაში არანორმალური ვითარება გვაქვს და გვინდა, რომ ნორმალურ სიტუაციაში გადავიდეთ, რათა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ჩატარდეს წესიერი არჩევნები. იყოს დაბალი ბარიერი და პროპორციული სისტემა, რაც ამ ქვეყანას განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

ნიკა მელიამ მიიღო ეს გადაწყვეტილება და საზოგადოებას კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მისთვის არ აქვს ღირებულება და ფასეულობა სავარძელს თუ სკამს და, რომ ის არის ბრძოლის წინა ხაზზე.

***– მკაფიოდ რომ მითხრათ თუ შეიძლება, პარტია ტოვებთ თუ არა პარლამენტს?***

– ეს ნიკა მელიამაც განაცხადა. მელია თავად ტოვებს პარლამენტს, მაგრამ პარლამენტს საშინაო დავალება აქვს შესასრულებელი იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დასტაბილურდეს. ეს დავალება მიცემულია როგორც ჩვენი უცხოელი პარტნიორების მიერ, ასევე ჩვენი მოქალაქეების მიერ. საქართველოს მოქალაქეებს სურთ პროპორციული სისტემა, რომელიც ასახავს იმ არჩევანს, რომელსაც ისინი გააკეთებენ. ეს არის გასაკეთებელი პარლამენტში.

***– ამ რეალობაში, როდესაც ახალი კრიზისი შეიქმნა, ეს მოხერხდება პარლამენტში?***

– ამ რეალობაში ვერ მოხერხდებოდა თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად დატოვებდა პარლამენტს და სხვა ოპოზიციური ძალებიც. იმიტომ, რომ ამას კონსტიტუციაში სჭირდება ცვლილებების შეტანა. ეს არის ერთ-ერთი შემაკავებელი და ამის გამო იქნა ეს გადაწყვეტილება. ამის გამო მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, თორემ ნორმალური ვითარება რომ ყოფილიყო ქვეყანაში, მაშინ პარლამენტის დატოვება და მთავარი ინსტიტუციის უგულებელყოფა დღის წესრიგში არ იქნებოდა მისაღები, ნორმალურ ვითარებაში ამას არც არავინ განიხილავს. პარლამენტის დისფუნქციურობა არ არის ნორმალური.

ამ გადაწყვეტილების შლეიფი არის ეს, რომელშიც, სამწუხაროდ, ჩაგვაყენა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი გადაწყვეტილებით.

***– საშინაო დავალების შესრულებაზე საუბრობთ, მაგრამ „ოცნებისთვის“ ერთ-ერთი მთავარი საბაბი გახდა „ნაცმოძრაობის“ გადაწყვეტილება, როდესაც შარლ მიშელის დოკუმენტს არ შეუერთდით. მაშინ რატომ არ შეასრულეთ საშინაო დავალება?***

– „ქართული ოცნება“ იტყუება, როგორც ყველა სხვა ჯერზე, ამჯერადაც ტყუილს ამბობს ის. მათ ვალდებულება ამ დოკუმენტზე იმიტომ კი არ აიღეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რამეს აკეთებდა, არამედ ეს ვალდებულება ვისთანაც აიღო, ეს უნდა შეესრულებინა.

***– კი ბატონო, მაგრამ საბაბი დაუტოვეთ-მეთქი, მაგას ვკითხულობ.***

– არაფერი საბაბი ჩვენ არ დაგვიტოვებია. ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით, რომ პრობლემურია ამნისტიის მუხლი და ეს ჩვენმა პარტნიორებმაც კარგად იცოდნენ. ან ამნისტიის მუხლს ჩვენ არ ვემხრობოდით და ეს ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ. ასევე საჯაროდ ვთქვით, რომ თუ გადახედილი იქნებოდა დოკუმენტი და ეს მუხლი ამოღებული იქნებოდა, ჩვენ შევუერთდებოდით ამ დოკუმენტს. თუ ამნისტია მიღებული იქნებოდა, ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილავდით პარტიის შიგნით. ამნისტია იყო ის ამორალური აქტი, რომლის მიღებასაც აპირებდა „ქართული ოცნება“ და ეს იყო დამაბრკოლებელი ჩვენთვის. დოკუმენტის დანარჩენ ნაწილში შინაარსის სულისკვეთებას ვიზიარებდით.

***– ამომრჩეველი როგორ მიიღებს თქვენ გადაწყვეტილებას, როდესაც ასეთი მძიმე ფონის მიუხედავად, რჩებით პარლამენტში, გარდა ნიკა მელიასი, რომელიც ტოვებს მანდატს?***

– ქართველმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ერთგული ვართ ჩვენი პრინციპების და ჩვენი რეალური ამოცანა დღეს ქვეყნის გადარჩენაა. ჩვენი მიზანია, რომ ის ამოვიყვანოთ იმ პოლიტიკური ჭაობიდან, რომელშიც შეგვათრია „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ჭაობში. აქედან არის ნაკარნახევი ყველა ჩვენი ნაბიჯი, ნიკა მელიას ნაბიჯიც. ეს უნდა იცოდეს ქართველმა ამომრჩეველმა.

ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. არ ვართ ნორმალურ ვითარებაში, რადგან უპასუხისმგებლო და გადამგდები ხელისუფლება გვყავს. ძალიან კარგია, რომ ამის შესახებ კიდევ ერთხელ გაიგეს ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა და ჩვენმა მოქალაქეებმა.



# „პარლამენტში ოპოზიცია უფუნქციოდ დარჩა“

მარიამ მჭედლიშვილი

## ბეჟან ნათელაშვილი: „მიშელის დოკუმენტი „ქართულ ოცნებაზე“ იყო მორგებული, მაგრამ „ოცნებამ“ მაინც იჩქარა მისი ანულირება“

**ქვეყანაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრს, ბეჟან ნათელაშვილს.**

***– მას შემდეგ, რაც მმართველი პარტიის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ „ოცნება“ გამოდის შარლ მიშელის შეთანხმებიდან, ბევრი კომენტარი გაკეთდა. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანამ გადაუხვია ევროატლანტიკურ კურსს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დასავლეთი ამას დაუშვებს?***

– დავიწყებ შარლ მიშელის მედიაციით აპრილში მიღებული დოკუმენტიდან, რომლის ანულირებაც მოახდინა „ქართულმა ოცნებამ“. მიშელის დოკუმენტი თავიდანვე „ქართულ ოცნებაზე“ იყო მორგებული. ამ დოკუმენტით გვარწმუნებდნენ, თითქოს 43% არის 57%-ზე მეტი.

***– თუ შეთანხმება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ იყო შემუშავებული, მაშინ რატომ თქვა უარი მმართველმა პარტიამ მასზე?***

– დოკუმენტი „ქართულ ოცნებაზე“ იყო მორგებული, მაგრამ „ოცნებამ“ მაინც იჩქარა მისი ანულირება. ეს არჩევნების შემდეგ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ახლა მოხდა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ „ოცნებაში“ კარგად იფიქრეს, გადახარშეს, რომ 2020 წელი აღარ გაუვიდოდათ. მოგეხსენებათ, მაშინ რომელი კარუსელი აღარ დაატრიალეს არჩევნებზე – სომხური, რუსული. იყო მოსყიდვა, დაშინება. მოძველბიჭო ელემენტები ზოგ ადამიანს საარჩევნო უბანზე მისვლას უკრძალავდნენ, ზოგს – პირიქით, ერეკებოდნენ. გააჩნია, ვის რა პოზიცია ჰქონდა.

***– ესე იგი, გაყალბების იმედი არ აქვთ?***

– იციან, რომ იმის ნახევარსაც ველარ გააყალბებენ და მოიმოქმედებენ, რაც 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩაიდინეს. ასე არათუ მიშელის დოკუმენტში ჩაწერილ 43%-იან ბარიერს ვერ მიუახლოვდებიან, 33%-საც ვერ მიიღებენ. „ქართულმა ოცნებამ“ ეს განჭვრიტა. ამ ხალხმა იცის, რომ პარტიის ნამდვილი რეიტინგი არ აღემატება ადმინისტრაციულ რესურსს (დაახლოებით 20%) და იმ ადამიანების მხარდაჭერას, რომელსაც ეშინია სააკაშვილის დაბრუნებისა (დაახლოებით 10%). ამიტომ საჩქაროდ მოახდინეს მიშელის დოკუმენტის ანულირება.

***– საგარეო კურსის შეცვლის თაობაზე მოთქმას ეთანხმებით? ასე ადვილად იცვლება დეკლარირებული კურსი, თუნდაც, ფარული გადახვევები იყოს?***

– მეეჭვება, კურსი ასე ადვილად შეიცვალოს. ამ გადაწყვეტილებით „ოცნებამ“ დოკუმენტი თავზე გადაახია ოპოზიციასაც და დასავლეთსაც. ჩვენმა პარტიამ არც დოკუმენტს მოაწერა ხელი. ის სამართლიანად არ მიგვაჩნდა (ამაზე ზემოთ ვთქვი) და არც პარლამენტში შესულა. თავიდანვე რა პოზიციაც გვქონდა, არ შეგვიცვლია. ბარიერგადალახული ოპოზიციის უმრავლესობა ჯერ ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა, აცხადებდა, რომ არჩევნები გაყალბდა და პარლამენტი არალეგიტიმურია, შემდეგ კი პარლამენტში შესვლას დათანხმდა. ვინც პარლამენტში შევიდა, ამბობდა, რომ ამზადებს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ყველას ჰქონდა იმ 43%-იანი მექანიზმის იმედი.



***– ახლა სხვა რეალობაა?***

– ცხადია. ოპოზიცია უფუნქციოდ დარჩა.

***– ზოგის აზრია, რომ ამ ნაბიჯით „ოცნებამ“ მოტივაცია დაუკარგა ოპოზიციას და დაუკარგა მნიშვნელობა გახარიას პარტიას.***

– გახარიას შეეძლო „ოცნებისთვის“ ხმების წართმევა, რაც მნიშვნელოვანი იყო 43%-იანი ბარიერის შემთხვევაში. აბა, ოპოზიციის ხმებს გახარია ვერ აიღებს. ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძის თანამოაზრე არა ვარ. პირველად მომეწონა მისი გადაწყვეტილება.

***– პარლამენტის დატოვების თაობაზე?***

– დიახ. კარანტინიდან რომ გამოვალ, პარლამენტს ვტოვებო, თქვა ჯაფარიძემ. ასე უნდა მოიქცნენ სხვებიც. თორემ, პარლამენტში დარჩენილი ოპოზიცია ოპოზიციონერებად ვერ ჩაითვლებიან. ეს ველარ იქნება ოპოზიციური ჯგუფიც კი. გამაკვირვა ნაციონალური მოძრაობის ლიდერების რეაქციამ. ხატია დეკანოიძემ განაცხადა, დასავლეთის გამოხმაურებებს ველოდებითო. დასავლეთი აქეთ ელის ჩვენ რეაგირებას. თუ ნაციონალური მოძრაობა დატოვებს პარლამენტს, შეიქმნება სულ სხვა ვითარება და დასავლეთი ამას უყურადღებოდ არ დატოვებს.



***– ახლაც დიდი ინტერესია დასავლეთიდან. ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი და სხვები ოპოზიციასაც (ნაცმოძრაობას) ახსენებენ, რომ შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერიათ.***

– ქალბატონი ფონ კრამონი ბიძინა ივანიშვილის სამაშველო რგოლია. ის ხშირად ამბობს იმას, რაც ივანიშვილს უნდა. თუ ნაციონალური მოძრაობა დატოვებს პარლამენტს, პარლამენტი დაკოჭლდება და დასავლეთი აყვირდება.

***– იქნებ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 43%-ს და რაიმე შეთანხმებას არ უნდა მიება? ვადამდელი არჩევნები არ არის გამორიცხული?***

– ეს ჩვენზე, ყველაზეა დამოკიდებული. თუ საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები გავჩუმდით და გავჩერდით, მაშინ ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე არც იფიქრებს.

***– დასავლეთის ზემოქმედების შემთხვევაშიც?***

– ჩვენ ჩვენი რეაქცია უნდა გვქონდეს. დასავლეთმა ჩვენი აქტიურობა უნდა დაინახოს. ასეთ დროს ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში არ უნდა დარჩეს.

***– მმართველი პარტიის ეს ნაბიჯი დაემთხვა უცნაურ ფონს – ცოტა ხნის წინ თბილისში ორჯერ ჩამოაგდეს და დაწვეს ევროკავშირის დროშა, მიმდინარეობს ანტიდასავლური კამპანია.***

– აგრესიულ რუსულ ჯგუფებს საქართველოში ხელისუფლება აქეზებს. აბა, ისე ვინ გაბედავდა დროშების დაწვას?! იმატა ანტიდემოკრატიულმა მოქმედებებმა. ანტიდემოკრატიული თავისთავად ნიშნავს რუსულს. ეს აგრესიული რადიკალური ჯგუფები ხელისუფლების ხელშეწყობით მშიერი რუსეთისკენ მიგვაქანებენ. ეგენი გაუცნობიერებელ ხალხს ატყუებენ. არწმუნებენ, რომ რუსეთი არის ტრადიციების დამცველი და მდიდარი. ეს ყველაფერი სიცრუეა. რუსეთი შიმშილით სულს ღაფავს. ტრადიციები თვითონ არ ახსოვთ. ორად ორი ქალაქია, რომელიც, ასე თუ ისე, ფუნქციონირებს – მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი. დანარჩენი რუსეთი გაღატაკებული და დემოგრაფიულად დაჩაჩანაკებულია. ხალხს როგორ ექცევიან, იმაზე საერთოდ არაფერს ვამბობ. აი, ამ რუსეთს უკეთებენ რეკლამირებას გააქტიურებული აგრესორები, რომლებიც რუსეთიდან ძღებიან. ჟურნალისტებს რომ დაერივნენ, ეს რა იყო?! ამდენი გადამღები ჯგუფი და ჟურნალისტი მასობრივად არც ერთ ცხელ წერტილში, არც ერთ ომში არ გაულახავთ. ეს იყო სასტიკი ანგარიშსწორება. 5 ივლისს ღარიბაშვილის განცხადებამ მწვანე შუქი აუნთო აგრესორებს, რომელიც გაუსწორდნენ მედიას.

***– „ოცნების“ გადაწყვეტილების შემდეგ ადგილობრივი არჩევნები პოლიტიკურ ელფერს კარგავს?***

– არსი, რომელიც ჩადებული იყო 43%-ის სახით, იცვლება. ადგილობრივი თვითმმართველობით ხელისუფლება არ იცვლება. სამწუხაროდ, ჩვენი საკრებულოები სინამდვილეში არიან ნოტარიუსები და არაფერს წყვეტენ. ქვეყანა არ არის დეცენტრალიზებული. ნამდვილი თვითმმართველობა არ არსებობს. ხელისუფლება იცვლება საპარლამენტო არჩევნებით. პარლამენტი განსაზღვრავს საშინაო და საგარეო კურსს. მით უმეტეს, საპარლამენტო მმართველობის დროს. არა მგონია, ამ პარლამენტმა 2024 წლამდე იმუშაოს. ალბათ, იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ოღონდ, ამისათვის აუცილებელია ჩვენი აქტიურობა, საპარლამენტო ოპოზიციამ კი უნდა დატოვოს პარლამენტი.

# შეიქმნას საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო

## ექსპერტების განცხადება

– ჩვენ, ქართული ანალიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო ლიდერები და აქტივისტები, უკიდურესად შეშფოთებული და იმედგაცრუებული ვართ „ქართული ოცნების“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გასვლით, რომელიც ქართული საზოგადოებისა და დასავლელი პარტნიორების მხრიდან სამართლიანად აღიქმებოდა საქართველოს პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის ერთადერთ რეალურ გზად.

ამის შესახებ განცხადებას საქართველოს ანალიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ავრცელებენ.

მათივე ცნობით, ამ შეთანხმების პირობების დაცვა ყველა ხელმომწერი მხარის ვალდებულება და პოლიტიკური სიმწიფის გამოვლინებაა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა კი მმართველი გუნდის უშუალო პასუხისმგებლობა.

„ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი სერიოზულად ამწვავებს ისედაც უკიდურეს პოლარიზაციამდე მისულ პოლიტიკურ ვითარებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობას, დემოკრატიას, ევრო-ატლანტიკურ პერსპექტივას და მის საერთაშორისო რეპუტაციას.

ჩვენ მადლობას ვუხდით საქართველოს დასავლელ პარტნიორებს პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის და იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი კვლავაც აქტიურ როლს შეასრულებენ იმისთვის, რომ არ მისცენ საშუალება „ქართულ ოცნებას“ უარი თქვას შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებზე. ამავდროულად, ვაცნობიერებთ რა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის დაცვა უპირველესად ჩვენი – საქართველოს მოქალაქეების – ვალდებულებაა, შექმნილ ურთულეს შიდა თუ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა გადავინაწილოთ საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ჯგუფებმა.

რადგანაც დღეს სასწორზე დევს ქვეყნის მომავალი, რაც ბევრად მეტია, ვიდრე რომელიმე დიდი თუ მცირე ზომის პოლიტიკური პარტიის ინდივიდუალური თუ საერთო ინტერესი, გამოვდივართ ინიციატივით შეიქმნას საზოგადოების ჩართულობის საბჭო როგორც თბილისის, ასევე რეგიონალური სამოქალაქო ორგანიზაციების, მედიის, აკადემიური თუ ბიზნესწრეების ჩართულობით. საზოგადოებრივი საბჭო, საერთაშორისო მედიატორების მხარდამხარ, ხელს შეუწყობს კრიზისის დაძლევის კონკრეტული მექანიზმების მოძიებას, მათ შორის, რიგგარეშე არჩევნების გზით.

ამ ან მსგავსი საზოგადოებრივი მექანიზმის შექმნის მიზნით გამოვთქვამთ მზაობას ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან“ – ნათქვამია განცხადებაში.

# როგორ უნდა მიიღონ ვაქცინირებულმა პირებმა საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო ცნობა

ვაქცინირებულ პირებს, საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო ცნობის მიღება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლიათ. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ვაქცინაციის პროვაიდერი დაწესებულება დოკუმენტს ადასტურებს ამავე დაწესებულების ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

„ცნობა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

– ვაქცინირებული პირის პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი;

– ვაქცინის დეტალები: დოზა, მწარმოებელი, თარიღი;

– სამედიცინო დაწესებულების დასახელება;

– ინფორმაცია ჩატარებული კოვიდ-19 ტესტირების შედეგებისა და კვლევის განმახორციელებელი ლაბორატორიის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების გარდა, ვაქცინირებულ პირს შეუძლია ცნობა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე მოითხოვოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში, რომელიც ასევე ადასტურებს დოკუმენტს ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

მიმღები ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ცნობა შესაძლებელია დამოწმდეს აპოსტილით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ინახება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუში, აპოსტილი შეიძლება დასმულ იქნეს დოკუმენტზე მხოლოდ ამ დაწესებულებებიდან სათანადო ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნის მიღების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება სამედიცინო დაწესებულებებიდან ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნა, შეგიძლიათ მიმართოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს და მათ მიერ გაცემული ცნობა წარადგინოთ სერვისების განვითარების სააგენტოში.

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინ(ებ)ით აცრის ცნობის აპოსტილით დამოწმების აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების „ქიუ არ“ კოდების ევროკავშირის სივრცესთან მიერთებამდე“ – ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რეზო თაბუკაშვილმა „ლიტერას“ ჟიური დატოვა

„ლიტერას“ პრემიას, მწერლების შემდეგ, უკვე ჟიურის წევრიც ტოვებს. 29 ივლისს ცნობილი გახდა, რომ ჟიურის წევრობაზე უარი თქვა რეზო თაბუკაშვილმა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ფეისბუქში იშვიათად შემოვდივარ ხოლმე და ეხლა ვნახე, რომ პანტიპუნტად ტოვებენ ავტორები ლიტერას კონკურსს, რომლის ჟიურის წევრიც გახლავართ. მე თვითონ საკმაოდ ბევრჯერ გადავეყარე სხვადასხვა (სულ ორი-სამია) ლიტ.კონკურსს და ხშირ შემთხვევაში კაი სიმყრალის სუნი მიგრძვნია. ფრანქფურტზეც შემიძლია მოგახსენოთ, რომელიც ჩემი და მამაჩემის გარეშე ჩატარდა.

ვთვლი, რომ მეტად აქტიური უნდა იყოს ლიტერატურული (ხაზს ვუსვამ – ლიტერატურული) პროცესი, რომელიც ერთი გაზეთის და ორიოდე ჟურნალის ანაბარა არ უნდა დარჩეს. ასევე, კონკურსების სიმრავლესაც სალამს ვეტყვი. პირველად ვიყავი ჟიურიში. ავტორი აღარ დარჩა და ბურთი სათამაშოდ მოედანზე. მათ შეხედულებას პროტესტანტისას, თავად გაგაცნობენ.

ვტოვებ ჟიურის წევრობას და კიდევ ერთხელ ამიცრუვდა ყოველგვარ ლიტ.კონკურსებში მონაწილეობის სურვილი.“

# ლაშა დარსალია: „მუქარის ნაცვლად, რუსეთმა უნდა შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება“

— მუქარანარევი განცხადებების ნაცვლად, სჯობს რუსეთმა შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, გაიყვანოს შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და სწორედ ეს შეუწყობდა ხელს უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებას.

ასე ეხმაურება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა დარსალია რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის კომენტარებს საქართველოში მიმდინარე მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებთან „ღირსეული პარტნიორი 2021“ დაკავშირებით.

როგორც დარსალია აცხადებს, საქართველოს, ისევე, როგორც მთელი რეგიონის უსაფრთხოებას ძირს უთხრის სწორედ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა.

— ყურადღება მივაქციეთ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის კომენტარებს საქართველოში მიმდინარე მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებთან „ღირსეული პარტნიორი 2021“ დაკავშირებით და გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს სრული უფლება, თავის ტერიტორიაზე ჩაატაროს სამხედრო წვრთნები, მათ შორის მრავალეროვნული ხასიათის, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, რაც ხორციელდება კიდეც.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო წვრთნები ემსახურება ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, მრავალეროვნულ გარემოში ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს ოპერატიული შესაძლებლობების დახვეწას და გაძლიერებას, მრავალეროვნული მზადყოფნისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას და არ არის მიმართული რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ.

საქართველოს, ისევე, როგორც მთელი რეგიონის უსაფრთხოებას, ძირს უთხრის სწორედ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, მათი მილიტარიზაცია და პერმანენტული სამხედრო წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

მუქარანარევი განცხადებების ნაცვლად, სჯობს რუსეთმა შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, გაიყვანოს შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და სწორედ ეს შეუწყობდა ხელს უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებას, — განაცხადა დარსალიამ.

კრემლის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვ-



მა საქართველოში მიმდინარე წვრთნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამხედრო სწავლება „მტკიცე სული 2021“ კიდევ ერთი დასტურია, რომ ნატო თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურით არა მხოლოდ რუსეთის საზღვრებს ირგვლივაა, არამედ რუსეთის საზღვრებს ეხება.

მისივე თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოქმედება რუსეთის საზღვრებთან ავალდებულებს მათ, მიიღონ ზომები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



# „ბესიკ თორდუა ციხეში მოკლეს“

## ადვოკატმა პროკურატურაში თორდუას ოჯახის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარი გაასაჩივრა

26 წლის ყაზახი აისელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებულ ბესიკ თორდუას ადვოკატმა ლაშა შუკაკიძემ გენერალურ პროკურატურაში ამავე უწყების მიერ, გარდაცვლილ თორდუას ოჯახის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარი გაასაჩივრა.

შუკაკიძის თქმით, ბესიკ თორდუა მოკლეს, რის გამოც, ოჯახს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი უნდა მიანიჭონ. ადვოკატის განმარტებითვე, აღნიშნულ საქმეში მას ყაზახეთის ჩართულობა ეჭვებს უჩენს.

— უკვე დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ბესიკ თორდუა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გარდაცვლილი არ არის და მოკლეს. აქედან გამომდინარე, ვითხოვთ აღნიშნულ საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება ადამიანის გარდაცვალება, მოკვლა და ა.შ., სასჯელაღსრულებამ და პროკურატურამ მისი ნათესავი უნდა ცნოს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, რათა საქმეში ჩავიხედოთ. პროკურატურამ უარი გვითხრა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე და კიდევ ერთხელ გაამყარა ეჭვი, რომ ბესიკ თორდუა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოკლეს.

ეს უარი გავასაჩივრეთ, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ზემდგომი პროკურორისგან ისევ უარს მივიღებთ, ამის მიუხედავად, პროცედურულად გავივლით ყველაფერს და საქმეს სამართლებრივი ბრძოლისთვის მოვამზადებთ.

ეს ადამიანი ციხეში რომ არის მოკლული, ორი აზრი არ არსებობს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ადამიანის მოკვლა ასე მარტივი არ არის და რაღაც მიზერული თანხითაც შეუძლებელია ადამიანის ასეთი ფორმით, კარგად ინსცენირებულად მოკვლა.

ბესიკ თორდუა კლინიკაში უგონო, მკვდარ მდგომარეობაში გადაიყვანეს, გარკვეული სახის ეჭვები გვაქვს, რისი გაჟღერებისგანაც თავს ვიკავებთ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ყაზახეთიდან მომდინარეობს.

ყაზახეთთან, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, კიდევ სპეციალური ხელშეკრულება გვაქვს და ამ ორ სახელმწიფოს არც ერთ შემთხვევაში, მსგავს დანაშაულებებზე მიმოსვლა არ სჭირდება. არასდროს მომხდარა, რომ ნებისმიერი მკვლელობის დროს, ერთი ქვეყნის საგამოძიებო ჯგუფი ჩადიოდეს მეორე ქვეყანაში, მით უმეტეს, როცა ასეთი კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა გვაქვს. ეჭვს იწვევს, რატომ გახდა საჭირო მათი ჩამოსვლა, ჩვეულებრივი გაუპატიურების, მარტივი საქმე იყო, თვითმკვლელობის ფაქტი იყო, — განაცხადა შუკაკიძემ.

ბესიკ თორდუა მიმდინარე წლის 14 ივნისს, პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანის შემდეგ, სამოქალაქო კლინიკაში გარდაიცვალა. 26 წლის ყაზახმა ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 5 მაისს დაასრულა. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქართველოში ბესიკ თორდუა დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია და თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მუქარით მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან, პროკურატურამ გაუპატიურების ორი ეპიზოდის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა გარდაცვლილი ქალის ნათესავს, მურატ მეირბეკოვს. ის გარდაცვლილი ქალის დედის საჩივრის საფუძველზე ყაზახეთში დააკავეს, თუმცა, ყაზახეთის პროკურატურის მიერ დაკავებულს ამ ეტაპზე ტრეფიკინგის ბრალდება აქვს წარდგენილი.

# „პალიტრანიუსის“ ოპერატორ რომა ტარულიშვილს დაზარალებულად ცნობის დადგენილება გადასცეს



„პალიტრანიუსის“ ოპერატორს, რომა ტარულიშვილს, რომელსაც 5 ივლისს „პრაიდის“ მოწინააღმდეგეები ფიზიკურად გაუსწორდნენ, დაზარალებულად ცნობის დადგენილება ოფიციალურად გადასცეს.

ოპერატორ რომა ტარულიშვილს დაზარალებულის სტატუსი 8 ივლისს მიენიჭა.

ცნობისთვის, რომა ტარულიშვილს 5 ივლისს „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგო აქციაზე ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც მას კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა.

ოპერატორის განცხადებით, ამ დროისთვის ის თავს კარგად გრძნობს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას აგრძელებს.

# „შეიძლება, ეგ დიტოს ცხედარი არც იყოს“



## რატომ ამბობს პოლონეთი დიტო ხელხელაურის ცხედრის გადმოცემაზე უარს

პოლონეთში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის, 24 წლის დიტო ხელხელაურის ოჯახი უკვე 2 კვირაა, პოლონეთიდან ცხედრის გადმოსვენებას უშედეგოდ ელოდება.

პოლონური მხარე ცხედრის გადაცემაზე უარს ამბობს.

საქმეში ამ დრომდე არ ჩარეულა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს საგარეო უწყება ამ დრომდე არ დაინტერესებულა საქართველოს მოქალაქის ბედით.

ოჯახი ხელისუფლებისგან მოითხოვს, დროულად მოხდეს ახალგაზრდა ბიჭის სამშობლოში ჩამოსვენება. ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ მდინარეში ნაპოვნი კაცი, შესაძლოა, სულაც არ არის ხელხელაური, რადგან ამოცნობის პროცედურას ოჯახი არ დასწრებია.

ოჯახი ამბობს, რომ მათთვის არც ექსპერტიზის დასკვნაა ხელმისაწვდომი და არ იციან, რა მიმართულებით მუშაობს გამოძიება.

24 წლის ახალგაზრდა პოლონეთში 12 ივლისს გაუჩინარდა. 18 ივლისს, 6-დღიანი ძებნის შემდეგ, ცხედარი მდინარეში ნახეს.

დიტო ხელხელაური პოლონეთში სამუშაოდ იმყოფებოდა.

# 5,5 კგ ნარკოტიკის და 10 ლ ფსიქოაქტიური ნივთიერების შეძენა-შენახვისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს, 4 პირი: 1985 წელს დაბადებული ვ.ზ., 1995 წელს დაბადებული, უკრაინის მოქალაქე ი.ბ., 2001 წელს დაბადებული ე. ი. და 2000 წელს დაბადებული ნ. ნ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ვ.ზ.-ის პირადი ჩხრეკისას, 5 ლიტრზე მეტი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ამოიღეს.

რაც შეეხება 1995 წელს დაბადებული.ბ.-ს, გამოძიებით დადგინდა, რომ იგი დაკავშირებული იყო სოციალურ აპლიკაცია „ტელეგრამში“ არსებულ ნარკორეალიზატორთა ორგანიზებულ ჯგუფთან და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას და ლოკაციებზე განთავსებას ახდენდა.

პოლიციამ ი.ბ. თბილისში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 4 ცალი პლასტმასის ბოთლი, რომლებშიც მოთავსებული იყო 5 ლიტრამდე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

2001 წელს დაბადებული ე.ი. და 2000 წელს დაბადებული ნ.ნ. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ნარკოდანაშაულისთვის დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ე.ი.-ს და ნ.ნ.-ს პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ამოიღეს. ბრალდებულების სარგებლობაში არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას კი ამოღებულია 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება ,,ოპიუმი“ და ,,ჰეროინის“ შემცველი 1 კილო და 600 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება.

პოლიციამ სულ ნივთმტკიცებად ამოიღო: 5 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება და 10 ლიტრი და 896 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ქურდული სამყაროს წევრობისთვის დაკავებული 12 პირი პატიმრობაში დარჩა



29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში კრიმინალური ავტორიტეტების პროცესი გაიმართა.

მოსამართლემ 12-ვე პირი პატიმრობაში დატოვა.

საქმე ეხება ბიზნესდავის გარჩევის დროს კრიმინალური ავტორიტეტების, მათ შორის, კანონიერი ქურდის, ,,გლეხოვიჩის“ ჩართულობას და საკითხის ქურდული წესით გარჩევას.

სხდომაზე ადვოკატებმა ბრალდებულთა გირაოთი გაშვების შუამდგომლობა მოითხოვა, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

მეორე საკითხი, რაც ადვოკატებმა სხდომაზე დააყენეს, იყო მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა, საუბარია ფარულ აუდიო და ვიდეო ჩანაწერებზე, რომლებიც ყველა დაკავებულის ბრალეულობას ადასტურებს. უფლებადამცველების მტკიცებით, პროკურატურამ ყველა ჩანაწერი კანონის დარღვევით მოიპოვა, რადგან ფარულ მიყურადებაზე მოსამართლის განჩინება არ ჰქონდათ.

პროკურატურის მტკიცებით, გამოძიებას ფარული ჩანაწერის მოსამართლის ნებართვის გარეშე მიღების უფლება ჰქონდა და ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს.

გამოძიება ერთდროულად 3 მუხლით მიმდინარეობს, ქურდული სამყაროს წევრობა, ქურდული სამყაროს წევრისადმი მიმართვა და კანონიერი ქურდობის მუხლით. აქედან ყველაზე დიდი სასჯელი 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.

12 პირი სამართალდამცველებმა 10 ივნისს დააკავეს. მეცამეტეს კი, ე.წ. კანონიერ ქურდ ,,გლეხოვიჩს“, ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს, რადგან ის საზღვარგარეთ იმყოფება.

# ტელეკომპანია „ალტ ინფო“ უხამსობის გამო სამართალდამრღვევად ცნეს



კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „ალტ ინფო“ ეთერში უხამსობის შემცველი გადაცემების გამო, სამართალდამრღვევად ცნო. ამის შესახებ ინფორმაციას თავად კომუნიკაციების კომისია ავრცელებს.

საქმე ეხება 5, 6, 7 და 12 ივლისს მათ ეთერში გასულ გადაცემებს, სადაც როგორც წამყვანების, ისე მიწვეული სტუმრების მხრიდან გამოყენებული იყო უცენზურო ლექსიკა და ხდებოდა უხამსობის ტირაჟირება.

კომუნიკაციების კომისიამ გადაცემების ეთერში განთავსების მართლზომიერება შეისწავლა და მიიჩნია, რომ „ალტ ინფოს“ ეთერში განთავსებული გადაცემები შეიცავდა განცხადებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, არ გააჩნია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და მეცნიერული ღირებულება და არ შეიძლება იყოს კონტექსტით გამართლებული.

„ალტ ინფოს“ გადაცემებში გამოყენებული ლექსიკა ლახავს ადამიანის ღირსებას და ძირითად უფლებებს, რითაც მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობა დაირღვა. გამომდინარე იქიდან, რომ უხამსობის შემცველი გამონათქვამები განთავსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში, დაირღვა იმ აუდიტორიის უფლებები, ვისთვისაც მიუღებელი და განსაკუთრებით შემაწუხებელია უხამსობის შემცველი გადაცემის ნახვა და მოსმენა. ამასთან, კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში უხამსობის განთავსება ეწინააღმდეგება მაუწყებლის სრულწლოვანი და არასრულწლოვანი აუდიტორიის უფლებებს.

უხამსობის საკითხის განხილვისას, კომუნიკაციების კომისია მაუწყებლების მიმართ აყალიბებს ერთგვაროვან მიდგომას, პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში, კომისიის მიზანს წარმოადგენს სტანდარტების დადგენა და არა მათი სანქცირება. კომუნიკაციების კომისია ცდილობს სტანდარტის დამკვიდრებამდე არ დააკისროს მაუწყებლებს ჯარიმა, მაგრამ დააფიქსიროს დარღვევა თუ ასეთი არსებობს. დარღვევის დაფიქსირება უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რათა საზოგადოებამ და მედიამ სწორად გაითავისოს კანონის პრინციპები და მოხდეს მისი აღსრულება. არსებული პრაქტიკისა და ერთგვაროვანი მიდგომის შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ „ალტ ინფო“ კანონდარღვევის გამო სამართალდამრღვევად ცნო და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, — ნათქვამია განცხადებაში.

კომუნიკაციების კომისიამ უხამსობისა და ძალადობის ტირაჟირებისთვის „ალტ ინფო“ 15 აპრილს დააჯარიმა.

# ბაიდენი: „პუტინს რეალური პრობლემა აქვს“



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ამერიკული სადაზვერვო თანამეგობრობის წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტმა რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე ისაუბრა.

ბაიდენმა კვლავ გაიმეორა, რომ რუსეთი ემზადება 2022 წლის ამერიკულ შუალედურ არჩევნებში ჩასარევად. სავარაუდოდ, ეს დეზინფორმაციის გავრცელების გზით მოხდება.

– პუტინს რეალური პრობლემა აქვს. ესაა ეკონომიკა. ფაქტობრივად, რუსეთს ნავთობისა და ბირთვული იარაღის მეტი არაფერი გააჩნია! – თქვა ბაიდენმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკულმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას უდიდესი დარტყმა მიაყენეს. ამავე დროს მან ისიც აღნიშნა, რომ ეკონომიური სიდუხჭირე განაპირობებს პუტინის აგრესიულობას.

– ეს გვაიძულებს, რომ ფხიზლად ვიყოთ, – განაცხადა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლას მოსკოვის რეაქცია მოჰყვა. პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ძლიერი ამერიკული აგენტურა მუშაობს.

– ჩვენ ეს ძალზე გვაშფოთებს, – თქვა პესკოვმა.

# ისრაელში კოვიდით ინფიცირებამ მკვეთრად მოიმატა



ბოლო ხანებში ისრაელში მკვეთრად მოიმატა კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა რაოდენობამ.

27 ივლისს ქვეყანაში კოვიდით ინფიცირების 2.195 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი ისრაელში მარტის შუა რიცხვების მერე არ ყოფილა.

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მკვლევარები ამბობენ, რომ ფაიზერის ვაქცინის ეფექტურობა მძიმე დაავადების აცილების საქმეში 80%-მდე შემცირდა.

კვლევაში, რომელიც ისრაელის მთავრობას წარედგინა, ნათქვამია, რომ მძიმე შემთხვევების რაოდენობა 145-დან 400-მდე გაიზრდება მომდევნო 3 კვირაში, თუ არ გატარდება ეფექტური ზომები ინფექციის შესაკავებლად.

ამ დროისთვის ისრაელში ორივე დოზით აცრილია მოსახლეობის 61%.

ქვეყანაში ძირითადად ფაიზერის ვაქცინა გამოიყენება.

# ალასკაზე 8,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა



29 ივლისს ალასკის ნახევარკუნძულზე 8.2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ძლიერი მიწისძვრის გამო ცუნამის საფრთხე გამოცხადდა.

მედიის ინფორმაციით, მიწისძვრა ქალაქ პერივილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 91 კილომეტრში მოხდა. ცუნამის საფრთხე ალასკის ნახევარკუნძულთან ერთად სამხრეთ ალასკაზეც გამოცხადდა.

ძლიერ მიწისძვრას 6.2 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგი მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საზოგადოება

# სანდრო ახმეტელზე ფილმს იღებენ



ქართველ რეჟისორ სანდრო ახმეტელზე ფილმს იღებენ. ხელოვანი, რომელიც რეპრესიებს ემსხვერპლა, დღემდე ათასობით ადამიანის ინტერესის ობიექტია. ის 222-დღიანმა წამებამაც ვერ გატეხა, არ აღიარა დანაშაული და სამაგალითოდაც დაისაჯა.

ნაგვემი და ნაწამები სანდრო ახმეტელი რუსთაველის თეატრის წინ ჩაატარეს და აჩვენეს ყველას, როგორია ურჩობა და დაუმორჩილებლობა.

„სანდრო ახმეტელი 135“ – ასეთია ფილმის სახელწოდება. შემოქმედებითი გუნდი ანაგაში უკვე იმყოფებოდა. გადაღებები სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმში მიმდინარეობდა. ფილმი რეჟისორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება და მასში საინტერესო ეპიზოდები გაერთიანდება.

# ხელოვნების სასახლეს XVIII საუკუნის ფრანგული აბრეშუმის კომზოლი აჩუქეს



ხელოვნების სასახლეს ხელოვანმა ზურაბ გოგორიკიძემ XVIII საუკუნის ფრანგული აბრეშუმის კომზოლი აჩუქა.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ხელოვნების სასახლემ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო შესანიშნავი ქართველი ხელოვანის ზურაბ გოგორიკიძისაგან.

ეს არის მე-18 საუკუნის ფრანგული აბრეშუმის კომზოლი: ულამაზესი ნაქარგობით და ვერცხლმკედით, ეს ნივთი მსოფლიოს ნებისმიერ დიდებულ მუზეუმს დაამშვენებდა!

ზურას მინდა ვუთხრა განსაკუთრებული მადლობა, ასეთი ნდობისთვის და სიყვარულისათვის, დღევანდელ დღეს, როცა ჩვენი ყოველდღიურობა წალეკა სიძულვილმა, დაპირისპირებამ, ზურასნაირი ადამიანების ქმედება ორმაგად სამაგალითოა. მადლობა სამშობლოს ასეთი სიყვარულისათვის.

# გია მურღულია: „შეიცანი ჭეშმარიტება და ის გაგათავისუფლებს შენ“



ფილოლოგი გია მურღულია ცხოვრებაში არსებული უამრავი კითხვიდან ყველაზე მთავარ კითხვებს სვამს და პასუხებსაც თავად სცემს:

– მთავარი კითხვები და პასუხები:

1. სად? აქ – ყველა პრობლემა უნდა გადაწყდეს იქ, სადაც ხარ.

2. როდის? ახლა – გადადებული საქმე ეშმაკისაა.

3. რატომ? სხვაგვარად შეუძლებელია – გადაწყვეტილებებს აქვთ ხარისხი და იერარქია, რომლებიც არჩევანს ზუსტად განსაზღვრავს.

4. რისთვის? ბედნიერებისთვის – ადამიანისთვის უფრო მაღალი პიროვნული, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მიზანი არ არსებობს.

5. რა? სიყვარული – ეს ბედნიერებისა და წესრიგის გასაღებია.

6. ვინ? ადამიანი – ქართულ ენაში ეს კითხვა მხოლოდ მას დაესმის.

7. რომელი? უკანასკნელიც პირველი – არაფერი ასხვავებს სამართლებრივად დამაკნინებლად – არავინ არის სხვაზე ნაკლები უფლების მქონე.

8. რანაირი? მართალი და თავისუფალი – ეს ერთადერთი კითხვაა, რომელსაც ორი პასუხი აქვს – თავისუფლება სიმართლის გარეშე მიზანს აცდენილი ისარია.

9. სადაური? სულერთია – წარმოშობა პრივილეგია არ არის.

10. როგორი? ღირსეული – ეს ცნება სიკეთის ყველა არსებით გამოვლინებას მოიცავს.

„შეიცანი ჭეშმარიტება და ის გაგათავისუფლებს შენ.“

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სოლომონ კვირკველია: „სანიოლის მსგავსი მწვრთნელის ხელში მოედანზე გასვლა გიხარია“



**საქართველოს ნაკრების მცველი სოლომონ კვირკველია უგუნდოდ არის. ჩვენებური ბოლოს ვოლგოგრადის როტორში თამაშობდა, მაგრამ მოსკოვის ლოკომოტივის საკუთრება იყო. არადა, იყო დრო, ქართველ მცველს ინგლისური ლესტერი ეპატიჟებოდა. რუსულ მედიასთან ინტერვიუში კვირკველიამ ეს დროც გაიხსენა.**

***– რა ემოციებით უყურებდით ევროპის ჩემპიონატს?***

– ცნობილია, რომ იტალიისა და იუვენტუსის გულშემატკივარი ვარ, ამიტომ, ძალიან გამიხარდა, რომ ჩემმა საყვარელმა გუნდმა მოიგო და დამსახურებულადაც. ყველაზე მეტად ბონუჩი და კიელინი მომეწონა, უმაღლეს დონეზე ითამაშეს.

***– სად ატარებთ შვებულებას?***

– საქართველოში ოჯახთან ერთად. თუმცა, ყოველდღე ვვარჯიშობ, ფორმაში ვარ, მაგრამ, ჯერჯერობით, გუნდის გარეშე. ველოდები ამ საკითხის გარკვევას, არის ვარიანტები, მაგრამ ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი.

***– რატომ აჭიანურებთ?***

– ხომ იცით, რომ უგუნდოდ არ დავრჩები. ადრე თუ გვიან, კონტრაქტს გავაფორმებ. უბრალოდ, მინდა საუკეთესო ვარიანტი შევარჩიო.

***– რუსეთს არ განიხილავთ?***

– მალე ყველაფერს გაიგებთ. არ მიყვარს წინასწარ საუბარი, რადგან შემდეგ არ მართლდება.

***– ბოლო სეზონი როტორში გაატარეთ, რატომ გავარდა?***

– იღბალი დაგვაკლდა. გუნდში კარგი ბიჭები შეიკრიბნენ. ბოლო 2 თამაში მახსოვს, ჯერ სოჭში ბოლო წამებზე გავუშვით და ფრედ ვითამაშეთ, მერე კი, ყაზანში 1:0-ს ვიგებდით და ბოლოს პენალტით ისევ გაგვითანაბრეს.

***– რატომ დაშორდით ლოკომოტივს, მენეჯმენტს შეხვდით?***

– არა, კონტრაქტი დასრულდა და სულ ეს არის.

***– სიომინთან გაქვთ ურთიერთობა?***

– რა თქმა უნდა. ლოკომოტივთან ჩემთვის ყველაზე მეტად „პალიჩი“ ასოცირდება, ის საუკეთესო მეგობარია.

***– მართალია, რუბინიდან რომ არ წაეყვანეთ, კარიერის დასრულებას აპირებდით?***

– შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა, შესაძლოა, სხვაგვარადაც ითქვას – ლოკომოტივს კვირკველია რომ არ წაეყვანა, ვერ გახდებოდა ჩემპიონი და ვერ მოიგებდა თასებს. ჩვენ უბრალოდ ერთმანეთს დავეხმარეთ. მადლობა სიომინს ამ შესაძლებლობისთვის, მის შტაბს და ყველა თანაგუნდელს. ლოკომოტივი ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ.

***– სელექციონერმა ვიქტორ ტიშჩენკომ თქვა, რომ სიომინს თქვენი გადაბირება საქართველო-უელსის თამაშის დროს ურჩია, როდესაც ბეილი სრულად გაანეიტრალეთ. რა გახსოვთ იმ თამაშიდან?***

– დაუვიწყარი მატჩია. 1:1 ვითამაშეთ. ბოლოს კი, 100%-იანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ისინი შეშინებულნი იყვნენ, ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა.

***– ბეილს მაისური გაუცვალეთ?***

– არა. იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ თამაშის მერე ამაზე არ მიფიქრია.

***– სამაგიეროდ, ახალგაზრდობაში შევჩენკოს ხომ გაუცვალეთ?***

– ის ჩემი კერპია, იმ დროიდან, როცა მილანში კახა კალაძესთან ერთად თამაშობდა. მაშინ მთელი საქართველო მილანს ქომაგობდა. პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს „შევათი“ აღფრთოვანებული ვიყავი. 2011 წელს რუბინის დუბლებში ვთამაშობდი, 2 ცენტრალური მცველი დაგვემტვრა და ყურბან ბედრიევმა ოთახში დამიბარა. მითხრა, რომ მეორე დღეს კიევის დინამოსთან უნდა მეთამაშა. მთელი ღამე არ მეძინა, წარმოიდგინეთ, ჩემს ოთახში შევჩენკოს უზარმაზარი პოსტერი მქონდა და 19 წლის ასაკში მის წინააღმდეგ სათამაშოდ გავედი. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

***– იტალიური ფეხბურთი კალაძისა და შევჩენკოს გამო გიყვართ?***

– და ფაბიო კანავაროს. ის ჩემი საყვარელი ცენტრალური მცველია. მისი დაცვითი კავშირი ნესტასთან და მალდინისთან ერთად, საუკეთესოა, რაც ფეხბურთში მინახავს.

***– 3 წლის წინ ლესტერის ნაცვლად იტალიაში რომ მიეწვიეთ, უარს იტყოდით?***

– არ ვიცი, ახლა პასუხის გაცემა რთულია. იმ დროში რომ დავბრუნებულიყავი, ავიღებდი ქაღალდს, ხელს მოვაწერდი და წავიდოდი. მაგრამ მაშინ სხვა გადაწყვეტილება მივიღე – ლოკომოტივში დავრჩი.

***– საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ვილი სანიოლი, როგორ დაახასიათებდით?***

– ძალიან კარგი ადამიანია, მასთან მუშაობა სასიამოვნოა. ჩანს, რომ ითამაშა და მუშაობდა უმაღლეს დონეზე. გუნდში შესანიშნავი ატმოსფერო შეიქმნა, ასეთი მწვრთნელის ხელში მოედანზე გასვლა გიხარია.

***– 2-ჯერ თამაშის დროს თავის არეში სერიოზული დაზიანება მიიღეთ. ორივე შემთხვევაში მოედანზე დარჩით, რატომ?***

– ფეხბურთი კაცების თამაშია, პირველად ეს მოხდა ეროვნულ ნაკრებში ირლანდიასთან, მეორედ ლოკომოტივში მნიშვნელოვან მატჩში, ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით. გონება დავკარგე, მაგრამ მე და სიომინმა გადავწყვიტეთ, რომ თამაში გამეგრძელებინა. უფრო სწორად, მან მითხრა, რომ თამაში გამეგრძელებინა და მეც დავეთანხმე. 45 წუთი ასე ვითამაშე, 3:0 გავიმარჯვეთ.

***– ლოკომოტივის ფანებმა საჩემპიონო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. სად ინახავთ მოგებულ პრიზს?***

– ისეც და ყველა მედალი სახლშია, საქართველოში, სპეციალურ ოთახში.

***– ერთხელ ლოკომოტივის პრესსამსახურთან საუბრისას ანეკდოტი მოყევით. საერთოდ ცნობილი იყო, რომ ხშირად ყვებოდით მხიარულ ამბებს. რომელი იყო სიომინის საყვარელი ანეკდოტი, რომელიც მოგიყოლიათ?***

– ისეთი აქცენტი მაქვს, რომ ლოკომოტივში ანეკდოტების გარეშეც ყველა იცინოდა. საერთოდ, მხიარული ადამიანი ვარ და ვცდილობდი გასახდელში ხალისიანი ატმოსფერო შემექმნა.

***– რომელი იყო თქვენთვის ლოკომოტივში ჩემპიონთა ლიგაზე ყველაზე ემოციური თამაში?***

– სახლში პორტუს წინააღმდეგ. ასევე კარგი თამაში იყო შინ გალათასარაისთან, როდესაც მათ შანსი არ დავუტოვეთ და 2:0 მოვიგეთ.

***– რუბინის შემადგენლობაში „ენფილდზე“ ლივერპულის წინააღმდეგ ითამაშეთ. ეს გრძნობა შეუდარებელია?***

– ეს ზოგადად საუკეთესოა. ლივერპულში კლოპის ერთ-ერთი პირველი თამაში იყო. მათ ჰყავდათ კოუტინიო, მილნერი, ყველა ვარსკვლავი. დევიჩის გოლით ვიგებდით, მაგრამ კუზმინი გააძევეს და მერე მთელი ძალებით თავს ვიცავდით. თამაშის შემდეგ ძალა აღარ მქონდა საშხაპეში წასასვლელად. იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ 40 წუთი უბრალოდ გასახდელში ვიჯექი, მაგრამ ღირსეულ შედეგს მივაღწიეთ – 1:1.

## შედეგები

**29 ივლისი**

**ოლიმპიადა**

**ჩოგბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ხაჩანოვი-უმბერტი | 7:6,4:6,6:3 |
| კარენო ბუსტა-მედვედევი | 6:2,7:6 |
| ჯოკოვიჩი-ნიშიკორი | 6:2,6:0 |
| ზვერევი-ჩარდი | 6:4,6:1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბენჩიჩი-რიბაკინა | 7:6,4:6,6:3 |
| სვიტოლინა-ვონდროუშოვა | 3:6,1:6 |

**კალათბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| სლოვენია-იაპონია | 116:81 |
| ესპანეთი-არგენტინა | 81:71 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კანადა-ს.კორეა | 74:53 |
| ესპანეთი-სერბეთი | 85:70 |

**28 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| კლუჟი-ლინკოლნი | 2:0 |
| მიდტიულანდი-სელტიკი | 2:1(დდ) |
| ლუდოგორეცი-მურა | 3:1 |
| გალათასარაი-პსვ | 1:2 |
| იანგ ბოიზი-სლოვანი | 3:2 |
| სპარტა-რაპიდი | 2:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ქაირათი | 5:0 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-სარპსბორგი | 2:0 |
| მიონდალენი-სტაბეკი | 1:2 |
| ოდ გრელანდი-სანდერფიორდი | 2:3 |
| ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი | 2:1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მასიმილიანო ალეგრი: „საინტერესო თავგადასავალი გველოდება“



ტურინის იუვენტუსში დაბრუნების შემდეგ, მასიმილიანო ალეგრიმ პირველი პრესკონფერენცია გამართა.

**მასიმილიანო ალეგრი:**

– საკმაოდ აღელვებული ვარ, თუმცა დადებითი ემოციებით სავსე. დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდებთან მომეცა მუშაობის საშუალება, მაგრამ უკვე გუნდის უმთავრესი შემოქმედები შემოგვიერთდნენ და დატვირთვებიც ეტაპობრივად გაიზრდება.

კრიშტიანუ რონალდუ, ლეონარდო ბონუჩი და ჯორჯო კიელინი დანარჩენი ფეხბურთელების მისაბაძი მაგალითები უნდა იყვნენ. კრიშტიანუს უკვე ვესაუბრე, ისევე, როგორც სხვებს. პორტუგალიელი ექსტრა არაორდინალურია და მისი გუნდში ყოლა დიდი ფუფუნებაა.

კლუბს ძალიან კარგი შემტევი პოტენციალი აქვს. ბერნარდესკი, მორატა, დიბალა, კულუსევსკი, რონალდუ – ველი, რომ 75 გოლამდე ავალთ. ძალიან ვარ მოხიბლული ადრიენ რაბიოს თამაშით. პაულო დიბალას კარგად ესმის, რომ 28 წლის ასაკში ეს მისთვის შესაძლოა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეზონი გახდეს. ციფრები მის მხარეს არის.

იტალიაში სამწვრთნელო კუთხით საინტერესო სეზონი გველოდება. აქეთ სარის ლაციო, იქით – მოურინიო და რომა. ცხადია, ინძაგი ინტერშია და ისინი ფავორიტები არიან.

ვფიქრობ, ახალი სეზონი კარგად არის დაბალანსებული. მილანის ახალგაზრდობამ გამოცდილება დააგროვა. ინტერი სხვა მენტალიტეტით იბრძოლებს. ასე რომ, წინ საინტერესო თავგადასავალი გველოდება.

იუვენტუსში დაბრუნებამდე რეალს უარი ორჯერ ვუთხარი. ახლა კი ვისარგებლებ შემთხვევით და ანდრეა ანიელის მადლობას გადავუხდი ამ არაჩვეულებრივი თავგადასავლისთვის, რომელიც, იმედი მაქვს, თითოეულ ჩვენგანს წინ ელოდება.

# ბექა ბურჯანაძე ბეტისში ითამაშებს




საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ბექა ბურჯანაძე კარიერას ესპანური ლიგა ენდესას ბეტისში გააგრძელებს. ინფორმაციას თავად ანდალუზიური კლუბი ავრცელებს. კლუბსა და 27 წლის ქართველ ფორვარდს შორის კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე გაფორმდა.

აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძის დამატებით პირადად იყო დაინტერესებული ბეტისელთა მთავარი მწვრთნელი ჟოან პლაზა. ამას თავისი ისტორია აქვს – ბექა ესპანეთში 16 წლის ასაკში სწორედ ბეტისში გამოჩნდა და მაშინ მისი დამრიგებელი სწორედ პლაზა იყო. მისი ხელმძღვანელობით ჰქონდა ქართველ ლეგიონერს დებიუტი როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, ასევე – ევროთასზე.

ბექა სევილიურ კლუბში 3 სეზონი ირიცხებოდა, შემდეგ კი ლა კორუნიაში, ანდორაში, გიპუსკოასა და გრან კანარიაში ითამაშა. გასულ სეზონში ბექა კანარელთა მაისურით საშუალოდ 5.7 ქულას და 3.1 მოხსნას აკეთებდა. თუმცა, თებერვალში კლუბი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დატოვა.

ბურჯანაძის ესპანეთის ჩემპიონატში დაბრუნება საქართველოს ნაკრებისთვისაც გამოსადეგია. შეგახსენებთ, მომავალი, 2022 წლის ევრობასკეტის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოა და ერთ-ერთი ლიდერის კარგ ფორმაში ყოფნა ნამდვილად სჭირდება.

ბეტისმა წინა სეზონში 36 ტურში 11-ჯერ მოიგო. ეს მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ 19 გუნდს შორის მე-16 ადგილი დაიკავა. კლუბს მომდევნო სეზონში უფრო მეტი გეგმები აქვს. ბურჯანაძემდე, კლუბმა ბილბაოს, დარუშაფაკას, მილანის, ხიმკისა და ნიუ ორლეან პელიკანსის ყოფილი კალათბურთელი – ლატვიელი დაირის ბერტანსი დაიმატა.

# ბარსელონა დამაკმაყოფილებელია, კუმანი გაფრთხილებული



ბარსელონას ახალი საკრედიტო კოდი მიენიჭა და შეფასებულია, როგორც დამაკმაყოფილებელი.

ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგად ბარსას მიენიჭა სტატუსი რომელიც 21 შეფასებიდან რიგით მეათეა. ეს კი, სანდოობის საშუალო ხარისხს ნიშნავს. მთავარი ისაა, რომ კლუბი ინვესტირების კატეგორიაში რჩება, თუმცა ზუსტად ზღვარზეა.

რეიტინგი ასეა განმარტებული:

– კომპანიას აქვს შესაძლებლობა, ადეკვატურად შეასრულოს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები. თუმცა, არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა ან ცვალებადი გარემო დიდი ალბათობით გამოიწვევს იმას, რომ კომპანიას ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გაუჭირდება.

ასეთი შეფასების მიუხედავად, ბარსელონა რეიტინგს ოპტიმისტურად აფასებს.

ამასობაში ხელმძღვანელობამ რონალდ კუმანი გააფრთხილა, რომ გასულ სეზონში დაფიქსირებული შედეგები საკმარისი აღარ იქნება.

გუნდში კარგი ატმოსფეროა, წინასასეზონო მზადება სწორი ინტენსივობით მიმდინარეობს. თუმცა, ახალი სეზონის წინ, ვარჯიშების დაწყების პირველივე დღიდან, კუმანი და მისი სამწვრთნელო შტაბი აცნობიერებენ, რომ ეს სეზონი, შესაძლოა, მათთვის გადამწყვეტი გამოდგეს. შესაბამისად, ამიერიდან თავი უკეთესი მუშაობით უნდა გამოიჩინონ.

ბარსას თავკაცი ამჟამად თავდაჯერებულია და პრეზიდენტ ლაპორტას მოთხოვნებიც შესანიშნავად ესმის. კუმანი გასახდელ ოთახში თავის ფეხბურთელებს მუდმივად უმეორებს, რომ თუ მათ ტიტულების მოგება სურთ, დაშვებული შეცდომები აღარ უნდა გაიმეორონ.

# ვარლამ ლიპარტელიანი უმედლოდ დარჩა




ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი, რომელიც ფავორიტად იყო შერაცხული, უმედლოდ დარჩა.

მე-3 ადგილისთვის ქართველი სპორტსმენი რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრ ნიაზ ილიასოვს დაეჭიდა და ვაზარით დამარცხდა.

მანამდე, ნახევარფინალში ასევე ვაზარით წააგო იაპონელ აარონ ვოლფთან. არადა, ტურნირი 2 მოგებით დაიწყო – ჯერ ეგვიპტელი რამადან დარვიში დაამარცხა 3 გაფრთხილების ხარჯზე, შემდეგ კი, ვადაზე ადრე კანადელ შადი ელნაჰასს აჯობა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ეკა ოდიკაძის მონატრება



ჩემო საყვარელო შვილო, ეკა, ხვალ ორმოცი დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან. წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი მე და დათუნას. როგორ გვენატრები, შვილო. ენერგიული, სიცოცხლით სავსე, ნაღდი თბილისელი ქალბატონი იყავი. სადაც კი გიმუშავია, ყველას უყვარდი, ეკა.

ოპერაცია და უცებ მეოთხე სტადია. გაოგნებული ვიყავი, შვილო. შენი დაქალები, ნათესავები, მეზობლები, აიეტის ტელევიზიის თანამშრომლები, ქალბატონი ირინა ანდრონიკაშვილის ოჯახი, შენი მკურნალი ექიმი მაია მაისურაძე, უწმინდესის პირადი ექიმი, ქალბატონი ცისანა შარტავა, თათია და ნინო ბრეგვაძეები, ალეკო მუსხელაძის ოჯახი, დათუნას კლასელების მშობლები – ყველანი შენ გვერდით იყვნენ, მაგრამ ვერაფერი გიშველეთ. თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, შვილო, ცოცხალი რომ იყავი. უზომოდ გვენატრები. დათუნა როგორ გიყვარდა, როგორ გინდოდა, მოსწრებოდი მის დავაჟკაცებას. ხვალიდან ზეციურ საქართველოში იქნები, შვილო. ყოველდღე ვლოცულობთ შენთვის.

მშვიდად განისვენე საყვარელი დედის გვერდით. უფალმა ნათელში გამყოფოთ!

*შენგან მონატრებული*

*მამა და შვილი – კუკური და დათუნა ოდიკაძეები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მთავარი არტერია; 2. მაგარნაჭუჭიანი ტყის თხილი; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძლიერი, ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე; 6. ლიხტენშტეინის მთავარი ტიტული; 9. მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო ჟანრის კინოს, თრილერის ბოევიკი მთავარი პერსონაჟი; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 14. პურეული მცენარე; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 20. ხეობა საქართველოში; 23. გემის მზარეული; 24. მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე; 25. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

**თარაზულად:** 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 15. მთავარი მოედანი მილანში; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, აირი; 27. კინოკომედია „ქვევრის“ რეჟისორი; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. მწნილი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ანიელი; 11. ბეისბოლი; 12. მაჩაიძე; 16. თაობა; 17. ქანდა; 18. გორდი.

**თარაზულად:** 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დუაიენი; 10. ფაქტორი; 19. ლუქსორი; 14. ბესონი; 15. იავა; 19. ფარგალი; 20. სახარება; 21. ნაბეღლავი; 22. შიიზმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაფია; 2. სააბი; 3. ჭიათურა; 4. ყორე; 5. ეტნა; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიკი; 11. კართაგენი; 14. დაფნა; 16. სიონი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. ლელო; 24. ტორტი; 25. კომლი; 26. ვიში.

**თარაზულად:** 7. ვილსდორფი; 8. ნაფტალინი; 12. დუვრი; 13. ბანქო; 15. გეიმი; 17. ფიუმიჩინო; 19. ბრასი; 21. პაიკი; 22. ქნარი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 3.1197 |
| ევრო | 3.7043 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 4.3543 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2641 |

**ამინდის პროგნოზი 30 ივლისისათვის**




## ჩელსის ფედერიკო კიეზას ყიდვა სურს

ლონდონის ჩელსის ფედერიკო კიეზას ყიდვა სურს და ლონდონელები შეეცდებიან, ეს ტრანსფერი მალე ოფიციალური გახადონ, რადგან კიეზას მიმართ ინტერესს სხვა გუნდებიც იჩენენ.

კიეზამ ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ამის გამო მას ბევრი მსურველი გამოუჩნდა, თუმცა იუვენტუსი მის ადვილად დათმობას არ აპირებს. ტურინელები ფედერიკოსთვის ახალ კონტრაქტს ამზადებენ და მას გაცილებით მაღალი ანაზღაურება ექნება.

## ლაშა ბექაური: „მილიონით ამას გავაკეთებ“



ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა კომენტარი გააკეთა და თქვა რომ ის ჯილდოს თავისი ემიგრანტი დედის და ბებიის ჩამოსაყვანად გამოიყენებს.

შეგახსენებთ რომ ოლიმპიურ ჩემპიონებს სახელმწიფო მილიონი ლარით დააჯილდოვებს:

– დედაჩემი და ბებიაჩემი ემიგრანტები არიან საბერძნეთში და მოგებული თანხით პირველ რიგში მინდა ისინი საქართველოში ჩამოვიყვანო.

## კარვახალმა რეალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

მადრიდის რეალმა დანიელ კარვახალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც კარვახალი რეალის ღირსებას 2024 წლის ჩათვლით დაიცავს.

კარვახალი რეალის აღზრდილია, თუმცა მან რამდენიმე წელიწადი ლევერკუზენის ბაიერში გაატარა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ გუნდში.

წლების მანძილზე კარვახალი რეალის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად ითვლებოდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

სამი სიდედრი საუბრობს. ერთი ამბობს:

– ჩემი სიძე გამუდმებით ფრინველებზე ჟურნალებს კითხულობს. ეტყობა, ყმაწვილობაში სურდა ორინტოლოგი გამოსულიყო.

მეორე ამბობს:

– ჩემი სიძე კი კულინარიული ჟურნალებითაა გატაცებული, ალბათ მზარეულობა სურდა.

მესამე ამბობს:

– ჩემი კი, თუ მისთვის საინტერესო ჟურნალებით ვიმსჯელებთ, გინეკოლოგობას აპირებდა...

●●●

მასწავლებელმა მოსწავლეს დღიურში ჩაუწერა:

– ქალბატონო ლამარა, თქვენ შვილს ცუდი სუნი ასდის, უნდა აბანაოთ.

მეორე დღეს მოსწავლის დღიურში მასწავლებელი მშობლის პასუხს კითხულობს:

– პატივცემულო მასწავლებელო, ჩემ შვილს უნდა ასწავლოთ და არა ყნოსოთ.

●●●

ტელეფონის ზარია:

– ალო! ეს ცირკია?

– დიახ, გისმენთ.

– თქვენთვის საინტერესოა ნომერი, რომელშიც ხელების გარეშე ვახერხებ ფულების ჯიბეებიდან ამოღებას?

– მაგ ნომრით, ჯობია, ჩვენ მთავრობას მიმართოთ.

## ჯასთინ ბიბერი დემნა გვასალიას სახეა



მსოფლიოში ცნობილი ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია მოდის მოყვარულების გაკვირვებას აგრძელებს. მის მიერ შექმნილი ახალ-ახალი კოლექციები დიდი მოწონებით სარგებლობს და ელვის სისწრაფით იყიდება.

პანდემიამ დიზაინერს არათუ პრობლემები შეუქმნა, პირიქით, შემოქმედებითად კიდევ უფრო ნაყოფიერი პერიოდი დაუდგა და მონატრებულ მოდის კრიტიკოსებსა და კოლეგებს სრულიად ახალი ნამუშევრები შესთავაზა.

დემნას ბრენდის „ბალენსიაგას“ სახე არაერთი ცნობილი მოდელი, მომღერალი, მსახიობი თუ ხელოვანი გახდა.

ამჯერად უახლესი კოლექციის სახე მომღერალი ჯასთინ ბიბერია. დემნას მიერ შექმნილი სამოსისა და ფეხსაცმლისთვის ბიბერმა სპეციალურ სარეკლამო ვიდეორგოლში იპოზიორა.

## ნატალია ავალიანმა „ლიტერას“ კონკურსზე უარი განაცხადა



ნატალია ავალიანმა ლიტერატურულ პრემია „ლიტერას“ პროტესტი გამოუცხადა და კულტურის სამინისტროს პატრონაჟით ორგანიზებულ ნებისმიერ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა:

– პირველ რიგში, მინდა გამოვხატო უდიდესი სიყვარული და პატივისცემა „მწერალთა სახლის“ და მისი თანამშრომლების მიმართ, რომლებიც უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებენ ქართველი ავტორებისთვის, საგამომცემლო საქმისთვის და ზოგადად, ლიტერატურისთვის.

ამასთან, მეც არ შემიძლია უარი არ ვთქვა კულტურის სამინისტროს პატრონაჟით ორგანიზებულ ნებისმიერ კონკურსში მონაწილეობაზე, სანამ ამ უწყების მინისტრი არის სრულიად უკულტურო ადამიანი და ძალადობის წამქეზებელი რეჟიმის ერთ-ერთი საყრდენი პერსონაჟი.

ეს არის ჩემი ინდივიდუალური პროტესტი ამ სამარცხვინო ჩინოსნის და არანაირად კონკურსი „ლიტერას“ მიმართ, რომლის 2017 წლის ამაყი გამარჯვებულიც თვითონ ვარ. გულით ვუსურვებ წარმატებებს კონკურსის სხვა ნომინანტებსა და „მწერალთა სახლს“ და სრულიად საქართველოს.

## მათე სარალიშვილმა „ლიტერას“ კონკურსიდან საკუთარი წიგნი მოხსნა



მწერალმა მათე სარალიშვილმა ლიტერატურული პრემია „ლიტერადან“ საკუთარი რომანი „მივიწყებულნი“ რჩეულთა სიიდან მოხსნა:

– გზაში გავიგე „ლიტერას“ კონკურსის შესახებ. აქამდე არაფერი დამიწერია. გამომცემლობასთან შეთანხმების შემდეგ ჩემს აზრს ვაჟღერებ.

მე დებიუტანტი მწერალი ვარ. კონკურსები და მსგავსი გამოწვევები ჩემთვის და ჩემი წიგნისთვის უცხო ხილია. ახლა ყოველი ნაბიჯი ძვირფასია და ფასეული.

ლიტერატურული კონკურსის „საბას“ შემთხვევაში ჩემი სადებიუტო რომანი, რატომღაც, ერთგზის და ორგზის ლაურეატთა გვერდით, წლის საუკეთესო რომანის სახელისთვის მოასპარეზე აღმოჩნდა და ამჯერად „ლიტერაში“ სადებიუტო რომანებთან ერთად ნომინირებაზე უკეთეს შესაძლებლობად არაფერი მესახებოდა, მაგრამ ასე არ გამოვა. ვისაც „მივიწყებულნი“ წაუკითხავს, მიხვდება, რატომ ვტოვებ კონკურსს.

„მივიწყებულნი“ 19 წლისამ დავწერე და 21 წლისამ გამოვეცი. წერის დროს დაგროვილი და გამოხატული ტკივილი ზუსტად ამ პროექტის მაორგანიზებელი ორგანოს, მსგავსი მიდგომის მქონე უკულტურო და ახალგაზრდების წინააღმდეგ მოქმედი პირების ბრალია. ჩემს წიგნს ვერ ვუღალატებ.

ამაზე ფიქრისას ტორესას პოსტი შემომხვდა. ტორესამ სწორი ნაბიჯი გადადგა. ვინც ბოლო დროის ქაოსს, უკულტურობას და უსამართლობას გულწრფელად განიცდის, „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს“ სახელით ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობას არ და ალბათ ვერ მიიღებს.

„ეძღვნება ყველას, ვინც უსამართლოდ დასაჯეს,

სხვისი ტვირთი აჰკიდეს ზურგზე.

ეძღვნება ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მათ მომავალ თაობებს.

ასევე იმათ, ვისაც ოცდამეერთე საუკუნის ყოველდღიური აყალმაყალი აწუხებს და მით უმეტეს მათ, ვისაც არაფერი აწუხებს ამ ქვეყანაზე.“

სიიდან ჩემს რომანს ვშლი.

## რიანას ქუჩაში ულტრამოკლე შორტებში გამოჩენამ ფანები აღაშფოთა



ამერიკელმა პოპ-შემსრულებელმა და მეწარმემ რიანამ მაიამის ქუჩაში ეროტიულად გამოწყობილმა გაისეირნა და ფანები აღაშფოთა.

პაპარაცებმა 33 წლის მომღერალი იმ დროს დააფიქსირეს, როდესაც ის რესტორანს თავის შეყვარებულ, რეპერ ASAP Rocky-თან ერთად ტოვებდა. მას ეცვა შავი ფერის პერანგი ცეცხლის ენების მსგავსი ნაქარგებით, მოკლე ჯინსის შორტებსა და შავ ქუსლიან ფეხსაცმელებში. მას ასევე ეკეთა მზის სათვალეები, ხელში ეჭირა მომცრო ზომის ნარინჯისფერ-მომწვანო ფერის ხელჩანთა, კისერზე კი ჯაჭვი ეკეთა.

გამოცემის მკითხველებმა ცნობილი მომღერლის გარეგნული შესახედაობა მკაცრად გააკრიტიკეს საკუთარ კომენტარებში.

– ის, რომ ვარსკვლავი ხართ, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ქუჩაში შეგიძლიათ ტრუსიკით იაროთ, – დაწერა ერთ-ერთმა ფანმა.

– მისი შორტის დიზაინი საფენების შთაბეჭდილებას ტოვებს, – აღნიშნა მეორემ.

– ასეთი ლამაზი ქალია, მაგრამ ყოველთვის ახერხებს თავისი შერჩეული ჩასაცმელით შთაბეჭდილების გაფუჭებას, – აღნიშნა მესამემ.

– რა თქმა უნდა, მესმის, ის ვარსკვლავია და რაიმე ალმაშფოთებელი რომ ჩაიცვას, მაგრამ ამ შემთხვევაში, მას მგონი, უბრალოდ, შარვლის ჩაცმა დაავიწყდა, – დაასკვნა მეოთხემ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სანდრო ნებიერიძემ კონცერტი გააუქმა



პიანისტმა სანდრო ნებიერიძემ დაგეგმილი კონცერტი კორონავირუსის გამო გააუქმა:

– გვეგონა ჩავატარებდით თბილისურ პრემიერას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ჩაგვეშალა – ორკესტრის 8 წევრს დაუდასტურდა კორონა, მეც და ჩემებსაც დადებითი პასუხი მოგვივიდა.

არ ინერვიულოთ, ჯანზე ვართ!

მე 10 დღეში დაგიბრუნდებით, ხოლო ჩემი ოპერა – სექტემბერში.

გკოცნით ყველას შორიდან, ცხელ-ცხელ ამბებს დაელოდეთ ჩემგან, სანდრიკასგან და კიდევ რამდენიმე, ჯერჯერობით სიურპრიზად დატოვებული, უმაგრესი ადამიანისგან!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



30 ივლისისათვის

**ვერძი** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 2. პორტუგალიური ღვინო; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. აეროპორტი კაიროში; 6. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობასა და ცურვაში; 8. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ტვინის შერყევა; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. გერმანული ავტომობილი; 18. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 9. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 10. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 13. ფულის ერთეული მონღოლეთში; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი სუმოისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

